კურიკულუმი

პროგრამის დასახელება	ტურიზმი - Tourism
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/ კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში Bachelor of Business Administration in Tourism
ფაკულტეტის დასახელება	აგრარული ფაკულტეტი
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები/ კოორდინატორი	სერგო ცაგარეიშვილი - სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი. აგრარული ფაკულტეტი. ტურიზმისა და ლანდშაფტური არქიტექტურის დეპარტამენტი. ☎- 593- 32-78-78; **E-mail**: sergo.tsagareishvili@atsu.edu.ge
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტებისრაოდენობა)	240 ECTS კრედიტი მათ შორის: **ძირითადი ნაწილი (major)** - 180 ECTS კრედიტი **დამატებითი Minor** - 60 ECTS კრედიტი / **თავისუფალ კრედიტთა კონცენტრაცია**
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის შემუშავებისა და განახლების თარიღები;	საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია 2011 წლის 17. 10 გადაწყვეტილება N 117

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები) :

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვს მხოლოდ იმ აბიტურიენტს, რომელმაც გაიარა შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად და ფლობს შესაბამის სერტიფიკატს.

შენიშვნა: კომპეტენციების წინასწარი იდენტიფიცირების - ერთიანი ეროვნული გამოცდების სერტიფიკატის გარდა პროგრამაზე ჩარიცხვა რაიმე განსაკუთრებულ დამატებით წინაპირობას არ ითვალისწინებს.

უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის სავალდებულოა სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებით განსაზღვრული ექვივალენტური დოკუმენტის არსებობა.

პროგრამის მიზნები :

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიიდან გამომდინარე უახლოესი ათწლეულების განმავლობაში ტურიზმი ქართული ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს დარგად არის მიჩნეული, ამდენად რეგიონების კულტურულ - ეკონომიკურ წინსვლასაც აღნიშნული დარგის განვითარება განაპირობებს, რაც გულისხმობს ტურისტული ინფრასტრუქტურის და ინდუსტრიის განვითარებას. ყოველივე ეს კი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სფეროში დასაქმებული კადრების კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე. ამდენად, მოთხოვნა ტურისტული ინდუსტრიისათვის კვალიფიცირებულ პროფესიულ კადრებზე დღეისათვის ქვეყნის მასშტაბით საკმაოდ მაღალია. აქედან გამომდინარე ჩვენს მიერ წარმოდგენილი პროგრამის მიზანია მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში, რომელსაც შეეძლება ტურისტული ორგანიზაციების (ტუროპერატორული ფირმების, ტურისტული სააგენტოების, ტურისტული კომპანიების, სასტუმროების და სხვ.) მართვა. ასევე ტურისტული ბაზრის კვლევა, თანამედროვე ტურისტული პროგრამების დამუშავება, ტურისტული პროდუქტის წარმოება, ფორმირება, ბაზარზე წინწაწევა და რეალიზაცია.

სწავლის შედეგები (ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები) :

ცოდნა და გაცნობიერება	**ზოგადი კომპეტენციები** - აქვს ფართო ცოდნა ტურიზმის სფეროში, კრიტიკულად იაზრებს მის თეორიებსა და პრინციპებს, აცნობიერებს კომპლექსურ საკითხებს. **დარგობრივი კომპეტენციები** - ფლობს საფუძვლიან საბაზისო ცოდნას ტურისტულ ინდუსტრიაში ჩართული ორგანიზაციების (ტუროპერატორების, სააგენტოების, სერვისის მიმწოდებელი ობიექტების) საქმიანობის შესახებ, გაცნობიერებული აქვს ტურიზმის როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, იცნობს ტურიზმის ეკონომიკის, მენეჯმენტისა

	და მარკეტინგის თეორიას, პრინციპებსა და კონცეფციებს, სტატისტიკის საფუძვლებს, საქართველოს ტურისტულ–რეკრეაციულ პოტენციალს, საქართველოს მატერიალურ-კულტურულ ძეგლებს.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	**ზოგადი კომპეტენციები** - შეუძლია ტურიზმის სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. **დარგობრივი კომპეტენციები** - შეუძლია ტურისტული პროდუქტის შექმნა, პრეზენტაცია და მომსახურების ფასების გაანგარიშება; ტურისტულ–საექსკურსიო მარშრუტების შერჩევა და გიდის ფუნქციის შესრულება; შეუძლია დასაქმდეს ტურისტული ინდუსტრიის ფირმებსა და საწარმოებში მენეჯერის, ადმინისტრატორის და სხვა პოზიციებზე. ამავე დროს შეუძლიათ პროფესიულ საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება.
დასკვნის უნარი	**ზოგადი კომპეტენციები** - შეუძლია ტურიზმის სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემების ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება. **დარგობრივი კომპეტენციები** - შეუძლია შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით ტურისტული ბაზრის კვლევისა და ანალიზის საფუძველზე ახალი პროდუქტის შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში.
კომუნიკაციის უნარი	**ზოგადი კომპეტენციები** - შეუძლია: ტურიზმის სფეროსათვის იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენაზე; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება. **დარგობრივი კომპეტენციები** - შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ და უცხოურ ენებზე, ტურიზმის სფეროში თავისი დასკვნების საჯარო წარმოდგენა, მათი მკაფიო დასაბუთება შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით, როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან. ინტერნეტის საშუალებით ინფორმაციის მოპოვება მისი საქმიანობისათვის საჭირო საკითხებთან დაკავშირებით.
სწავლის უნარი	**ზოგადი კომპეტენციები** - შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. **დარგობრივი კომპეტენციები** - ინფორმაციის დიფერენცირებისა და კრიტიკულად შეფასების საფუძველზე შეუძლია შეაფასოს და შეაჯამოს შემენილი ცოდნა, იზრუნოს მის მუდმივ განახლებაზე და განსაზღვროს დაუფლებული უნარების გამოყენების შესაძლებლობები.
ღირებულებები	**ზოგადი კომპეტენციები** -მონაწილეობს ღირებულებების ფორმირების პროცესში და ისწრაფვის მათ დასამკვიდრებლად. **დარგობრივი კომპეტენციები** - საქმიანობას წარმართავს პროფესიული ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვის, ქვეყნის კანონმდებლობისა და მსოფლიო ტურისტული ორგანიზაციის ქარტიის პატივისცემის, ასევე საკუთარი სამშობლოს ისტორიულ - კულტურული მემკვიდრეობის და ტრადიციების შენარჩუნებისა და წარმოჩენის ნიშნით.
სწავლების მეთოდები	
სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები ითვალისწინებს სტუდენტისათვის სწავლების ისეთი პროცესის	

ორგანიზებას, რომელიც უზრუნველყოფს:

- ძირითადი სპეციალობის სავალდებულო(major) და არჩევითი (minor) ნაწილის დაუფლებას;
- ინგლისური და სხვა უცხო ენის შესწავლას უცხოელებთან თავისუფალი კომუნიკაციის დონეზე;
- წერითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების შეძენას;
- ორი სახის პროფესიული პრაქტიკის გავლას და პროფესიული გამოცდილების მიღებას ტურისტულ ფირმებსა და საწარმოებში და განხორციელდება შემდეგი ფორმით:
- **საკონტაქტო:**

- **პასიური და აქტიური** (სალექციო ფორმით);
- **ინტერაქტიური** (სამუშაო ჯგუფში მუშაობა);
- **საქმიანი თამაშები** (საწარმოო პროცესების სიტუაციური მოდელირება);

- **სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობა;**
- **პროფესიული პრაქტიკა.**

საკონტაქტო ფორმის დროს გამოიყენება სწავლების ისეთი ხერხები, როგორიცაა:

ვერბალური ანუ ზეპირი მეთოდი გულისხმობს სალექციო მასალის გადაცემას სტუდენტისათვის ვერბალური გზით, რომლის დროსაც გამოიყენება კითხვა–პასუხის, ინტერაქტიური მუშაობის, პრაქტიკული სიტუაციის მოდელირების საფუძველზე თეორიული დებულებების ახსნის მეთოდები;

დისკუსია/დებატები ინტერაქტიური სწავლების ერთ–ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ აქტიურად გამოხატონ მიღებული ცოდნა და ინტენსიურად ჩაერთონ ჯგუფში მუშაობის პროცესში, წარმოადგინონ მომზადებული პრეზენტაციები, განახორციელონ საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირებული დაცვა;

პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება სწავლების მეთოდია, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

შემთხვევის ანალიზის მეთოდის გამოყენებით სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილება კონკრეტულ შემთხვევები, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხის მანამდე უცნობ მხარეებს.

წერითი მეთოდების გამოყენებით სტუდენტების მიერ ხორციელდება ჩანაწერების გაკეთება, გარკვეული თეზისების სახით; ესეების, მოხსენებების გაკეთება.

გონებრივი იერიშის მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას, რაც გულისხმობს დავალების ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად შესაძლებელი (შესაძლოა რადიკალურად განსხვავებული) მოსაზრების, იდეის ჩამოყალიბებასა და პრეზენტაციას, კერძოდ: პრობლემის დასმა ან საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა; დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა; გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან; კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა; შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით; უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

ინტერაქტიული ლექციები სტუდენტის ჩართულობა სალექციო პროცესში, ლექტორსა და სტუდენტს შორის სალექციო თემის ირგვლივ საკითხების ერთობლივი განხილვა კითხვა-პასუხის რეჟიმში, რომლის დროსაც სტუდენტები მონაწილეობენ დისკუსიაში, გამოთქვამენ თავიან მოსაზრებებს, სვამენ ახალ საკითხებს, რომლის გარშემოც ლექტორი აკეთებს განმარტებას.

ლაბორატორიული მეთოდი გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალისა დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენება და სხვ.

დემონსტრირების მეთოდი გულისხმობს სინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას და ეხმარება ლექტორს თვალსაჩინოდ გახადოს სასწავლო მასალის აღქმა. შესაძლოა, მასალა ერთდროულად ელექტრო ტექნიკური და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება ხორციელდება როგორც პროფესორის, ისე სტუდენტის მიერ.

ინდუქციური მეთოდი სწავლის პროცესში დახმარებას უწევს აზრის მსვლელობას კერძო (კონკრეტული) ფაქტებიდან განზოგადებისაკენ, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

დედუქციური მეთოდი ცოდნის გადაცემის ისეთი ხერხია, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი

ცოდნის გამომჟღავნების ლოგიკური პროცესია, ანუ ზოგადიდან კონკრეტულისაკენ პროცესის მიმდინარეობის მართვაა.

ანალიზის მეთოდი გულისხმობს სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლას, რაც ამარტივებს დასმული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალურ გაშუქებას.

სინთეზის მეთოდი გულისხმობს ცალკეული საკითხების თავმოყრით მთლიანის შესახებ წარმოდგენის შექმნას. იგი ხელს უწყობს პრობლემების, როგორც „მთელი"-ს დანახვის უნარის განვითარებას.

ახსნა–განმარტებითი მეთოდი ეფუძნება მოცემული საკითხის ირგვლივ მსჯელობას. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

წიგნზე მუშაობის მეთოდი სასწავლო კურსით გათვალისწინებული სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის გაცნობა, დამუშავება და ანალიზი

ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. თითოეული ჯგუფის წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

კარტოგრაფიული მეთოდი – რუკის ნომენკლატურაზე მუშაობა. კარტოგრაფია სპეციფიკურ ხელოვნურ ნიშნობრივ სისტემას – რუკის ენას და სპეციფიკურ მეთოდს –კარტოგრაფიულ მოდელირებას იყენებს. კარტოგრაფიული შემეცნების შედეგია საკვლევი სინამდვილისკარტოგრაფიული მოდელი, რასაც მეცნიერებასა და საზოგადოებრივ პრაქტიკაში რუკა ეწოდება.

პრეზენტაცია ითვალისწინებს ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას, რის გამოც სტუდენტები ვალდებული არიან მოიძიონ რელევანტური მასალები წინასწარ მოცემულ საკითხებზე და წარმოადგინონ სლაიდ-შოუ. პრეზენტაციები შეუძლიათ წარმოადგინონ როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად.

ევრისტიკული მეთოდი - ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამის მოცულობა კრედიტებით - 240 ECTS კრედიტი
მათ შორის:
ძირითადი ნაწილი (major) - 180 ECTS კრედიტი
(სავალდებულო - 165 კრედიტი, არჩევითი - 15 კრედიტი)
დამატებითი Minor - 60 ECTS კრედიტი
სასწავლო გეგმა იხ.დანართის სახით!
იხ დანართი 1.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები :

სტუდენტთა მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2016 წლის 18 აგვისტოს №102/ნ ბრძანებებით განსაზღვრული პუნქტების გათვალისწინებით. აკაკი წერეთლს სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული სტუდენტთა შეფასების სისტემა შეიცვალა (დადგენილება №45 (16/17) 30 ივნისი, 2017 წელი),

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) შუალედური შეფასების ხვედრითი წილი შეადგენს ჯამურად 60 ქულას, რომელიც თავის მხრივ მოიცავს შემდეგი შეფასების ფორმებს:
სტუდენტის აქტივობა სასწავლო სემესტრის განმავლობაში -30 ქულა;
შუალედური გამოცდა- 30 ქულა;
დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა.
დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელის შუალედური შეფასებების კომპონენტებში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ჯამურად შეადგენს **არანაკლებ 18 ქულას.**
შეფასების სისტემა უშვებს:
ა) **ხუთი სახის დადებით შეფასებას:**
ა.ა) **(A) ფრიადი** – შეფასების 91-100 ქულა;
ა.ბ) **(B) ძალიან კარგი** – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
ა.გ) **(C) კარგი –** მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

ა.დ) **(D) დამაკმაყოფილებელი** – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:
ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის **შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში**

- დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მიერ მიღებული **შეფასების მინიმალური ზღვარი განისაზღვრება 15 ქულით**
- სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა
შენიშვნა: შუალედური და დასკვნითი (დამატებითი) გამოცდები ჩატარდება ფორმალიზებული წესით.
ცალკეულ კურსებში შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია შესაბამისი კურსის სილაბუსით.

დასაქმების სფეროები

პროგრამის მიზანია ტურიზმის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს ტურიზმის სფეროში (ტურისტულ ფირმებში, სააგენტოებში, ტურისტულ კომპლექსებში, სასტუმროებში, საინფორმაციო და სარეკლამო ცენტრებში, საექსკურსიო ობიექტებში, ნაკრძალებში, ეროვნულ პარკებში და ა. შ.) ეფექტურ მოღვაწეობას, რაშიც მას დაეხმარება ტურისტული საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული საკითხების საფუძვლიანი ცოდნა და დინამიურ ტურისტულ ბიზნეს გარემოში პრაქტიკული მუშაობის უნარ-ჩვევები.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

ადამიანური რესურსი: საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 40 პერსონალი: 4 პროფესორი, 28 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი და 7 მოწვეული სპეციალისტი. რომელთაც აქვთ პროფესიული საქმიანობის გამოცდილება და პედაგოგიური საქმიანობის პარალელურად ეწევიან სამეცნიერო–კვლევით, პრაქტიკულ და მეთოდურ მუშაობას.

გარდა ამისა პროგრამის განხორციელებას ემსახურებიან უცხო ენების 34 სპეციალისტი - 9 გერმანული ენა, 14 ინგლისური ენა, 6 რუსული ენა, 5 ფრანგული ენა (მათგან 9 არის ფილოლოგიის დოქტორი და 3 პედაგოგიკის დოქტორი).

ტურიზმის პროგრამის განსახორციელებლად გამოიყენება შემდეგი მატერიალური რესურსები: აწსუ-ს კორპუსები, კეთილმოწყობილი აუდიტორიები, ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზები; დეპარტამენტში არსებული სალიტერატურო ფონდი, უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრის აუდიტორიები, სამედიცინო პუნქტი, ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები, პანდუსები (ინკლუზივი სტუდენტებისათვის), ჭავაჭვაძის №21 სასწავლო კორპუსში განთავსებული კომპიუტერული 4 კლასი და ტურიზმის კაბინეტები და სხვ.

ცოდნის გაგრძელება - ტურიზმში ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის კვალიფიკაცია ენიჭება სტუდენტს, რომელსაც გააჩნია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრული სწავლების პირველ საფეხურზე მისაღწევი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შესაბამისი დონე. კერძოდ, ტურიზმში ბიზნესის ადმინისტრიტების ბაკალავრს პროგრამის დასრულების შემდეგ შესაძლებლობა ეძლევა აიმაღლოს კვალიფიკაცია სწავლის მომდევნო საფეხურზე, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ და/ან შეძენილი კომპეტენციების გამოყენებით პრაქტიკულად დასაქმდეს ტურისტულ ობიექტებზე.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა
პროგრამის დასახელება: საბაკალავრო - ტურიზმი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლაბ/ჯგ	სემესტრი								დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
				აუდიტორული	შუალედ.დასკვნითი გამოცდები											
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
1	თავისუფალი კომპონენტის სავალდებულო სასწავლო კურსები															
1.1	აკადემიური წერა	5	125	45	3	77	0/0/0/3	5								
1.2	ზოგადი მათემატიკა	5	125	45	3	77	1/2/0/0	5								
1.3	უცხოენა 1	5	125	60	3	62	0/0/0/4	5								
1.4	ინფორმაციული ტექნოლოგიები	5	125	45	3	77	0/0/3/0		5							
1.5	უცხოენა 2	5	125	60	3	62	0/0/0/4		5							1.3
1.6	საქართველოს მატერიალურ-კულტურული ძეგლები	5	125	45	3	77	1/0/0/2		5							
1.7	უცხოენა 3	5	125	60	3	62	0/0/0/4			5						1.5
1.8	საზოგადოებასთან ურთიერთობები	5	125	45	3	77	1/0/0/2							5		
	სულ	40	1000	405	24	571	40									

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლაბ/ჯგ	სემესტრი								დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
				აუდიტორული	შუალედ.დასკვნითი გამოცდები											
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
2	ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი სავალდებულო სასწავლო კურსები															
2.1	ეკონომიკის პრინციპები	5	125	60	3	62	1/0/0/3	5								
2.2	საქართველოს გეოგრაფია	5	125	45	3	77	2/0/0/1	5								
2.3	ტურიზმის საფუძვლები	5	125	45	3	77	1/0/0/2	5								
2.4	ტურიზმი და სასურსათო უსაფრთხოება	5	125	45	3	77	1/2/0/0		5							
2.5	საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	5	125	45	3	77	1/0/0/2		5							
2.6	ტურიზმის კვლევის საფუძვლები	5	125	45	3	77	1/2/0/0			5						
2.7	ტურისტული რეგიონების და ცენტრების გეოგრაფია	5	125	45	3	77	1/0/0/2			5						
2.8	ექსკურსიათმცოდნეობა	5	125	45	3	77	0/0/0/3				5					
2.9	პროფესიული პრაქტიკა 1	5	125	90	3	32	0/6/0/0				5					
2.10	ტურიზმის ეკონომიკა	5	125	45	3	77	1/0/0/2				5					2.3
2.11	ფინანსები, ფულის მიმოქცევა და კრედიტი	5	125	45	3	77	1/0/0/2					5				
2.12	მენეჯმენტი სასტუმროების ინდუსტრიაში	5	125	45	3	77	1/0/0/2					5				
2.13	ზუღალტრული აღრიცხვა	5	125	45	3	77	1/0/0/2					5				
2.14	ტუროპერეიტინგი	5	125	45	3	77	1/0/0/2					5				2.3
2.15	ტურიზმის მენეჯმენტი	5	125	45	3	77	1/0/0/2						5			

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლაბ/ჯგ	სემესტრი								დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
				აუდიტორული	შუალედ.დასკვნითი გამოცდები											
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
2.16	კვების ორგანიზაცია ტურიზმში	5	125	45	3	77	0/0/0/3						5			
2.17	ინფორმაციული სისტემები ტურიზმში	5	125	45	3	77	1/0/2/0						5			1.4.
2.18	პროფესიული პრაქტიკა 2	5	125	90	3	32	0/6/0/0						5			
2.19	ტურიზმის მარკეტინგი	5	125	45	3	77	1/0/0/2							5		
2.20	სტატისტიკის თეორია	5	125	45	3	77	1/0/0/2							5		
2.21	პროფესიული ეთიკა და ეტიკეტი	5	125	45	3	77	0/0/0/3							5		
2.22	საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები	5	125	45	3	77	1/0/0/2								5	
2.23	მეწარმეობა სოფლად	5	125	45	3	77	1/0/0/2								5	
2.24	მსოფლიო ტურისტულ–რეკრეაციული რესურსები	5	125	45	3	77	1/0/0/2								5	
2.25	რეკლამა ტურიზმში	5	125	45	3	77	1/0/0/2								5	
	სულ	**125**	**3125**	**1230**	**75**	**1820**										
3	**ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსის შესაბამისი არჩევითი სასწავლო კურსები**															
3.1	მეორე უცხოენა 1	5	125	60	3	62	0/0/0/4		5							
3.2	რელიგიის ისტორია			45		77	2/0/0/1									
3.3	საქართველოს ისტორია						2/0/0/1									
3.4	ლანდშაფტური ხელოვნება						1/2/0/0									
3.5	ფილოსოფიის ისტორია						2/0/0/1									
3.6	მეორე უცხოენა 2	5	125	60	3	62	0/0/0/4			5						3.1

№	კურსის დასახელება	კრ	დატვირთვის მოცულობა, სთ-ში				ლ/პ/ლაბ/ჯგ	სემესტრი								დაშვების წინაპირობა
			სულ	საკონტაქტო		დამ		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
				აუდიტორული	შუალედ.დასკვნითი გამოცდები											
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17
3.7	მსოფლიო კულტურა დ ახელოვნება						2/0/0/1/									
3.8	ეთნოლოგია						2/0/0/1									
3.9	ფოტოხელოვნება						0/0/3/0									
3.10	ტურისტული ობიექტების კეთილმოწყობა და გამწვანება			45		77	1/2/0/0									
3.11	ფიტოდიზაინი						1/2/0/0									
3.12	ტურიზმი და სატრანსპორტო ინდუსტრია						1/0/0/2									
3.13	მეორე უცხოენა 3			60		62	0/0/0/4									3.6
3.14	ეკოლოგია და გარემოს დაცვა						1/2/0/0									
3.15	ვალეოლოგია						1/2/0/0									
3.16	დემოკრატია და მოქალაქეობა	5	125	45	3	77	2/0/0/1				5					
3.17	სამოქალაქო საზოგადოების როლი						2/0/0/1									
3.18	საქართველოს დაცული ტერიტორიები						1/2/0/0									
სულ		15	375	180/ 135	9	186/ 231										
major		180	4500	1815 1770	108	2577 2622										
minor		60	7500	540	36	924				10	10	10	10	10	10	
სულ		240	6000	2355 2310	144	3501 3546		30	30	30	30	30	30	30	30	